შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)“ რექტორს
გია კავთელიშვილს
ელ-ფოსტა: info@seu.edu.ge

რეკომენდაცია

განსხვავებული მოსაზრების გამოხატვის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო გია,

2022 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველს N11426/22 განცხადებით მომართა შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)“ (შემდგომში უნივერსიტეტი) ყოფილმა სტუდენტმა, თ. ლ.-მ და უნივერსიტეტის მხრიდან, განსხვავებული მოსაზრების გამოხატვის ნიშნით, დისკრიმინაციული მოპყრობის საკითხის შესწავლა მოითხოვა.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ რამდენადაც კერძო სამართლის სუბიექტებთან მიმართებით სახალხო დამცველის მანდატი მხოლოდ დისკრიმინაციის შემთხვევებზე ვრცელდება, წინამდებარე დოკუმენტში მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები აისახება და გაანალიზდება, რაც სტუდენტის სტატუსის დისკრიმინაციული საფუძვლით შეწყვეტის გამოკვეთისთვის არის რელევანტური. გადაწყვეტილების მიზნებისთვის, სახალხო დამცველი, ვერც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს შეაფასებს, რამდენადაც აღნიშნული სცდება დისკრიმინაციული მოპყრობის გამოკვეთის ფარგლებს. გადაწყვეტილებაში, ასევე, არ შეფასდება დისციპლინური საქმის წარმოებისას ეთიკის კომისიის მხრიდან დაირღვა თუ არა პროცედურული საკითხები.

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განმცხადებლის პოზიცია

განმცხადებლის განმარტებით, იგი 2019 წლიდან იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ირიცხებოდა[1], ხოლო უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 6

[1] 2019 წლის 9 სექტემბრის აკადემიური კონტრაქტი N00527

სექტემბრის N732 ბრძანების საფუძველზე, მას სტუდენტის სტატუსი შეუწყდა[2]. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას წინ უსწრებდა ეთიკის კომისიის მხრიდან, განმცხადებლის მიერ, უნივერსიტეტთან დაკავშირებით, სოციალურ ქსელ facebook-ის პირად გვერდზე გამოქვეყნებული კრიტიკული პოსტის[3] უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსთან შესაბამისობის შეფასება[4]. კრიტიკული პოსტის გამოქვეყნებას საფუძვლად სტუდენტთა საერთო მიმოწერის ჯგუფში უნივერსიტეტის დეკანის მხრიდან გამოხატული პოზიციები დაედო[5]. 2022 წლის 5 სექტემბერს გამართულ ეთიკის კომისიის სხდომაზე, კომისიის წევრებმა საკითხის შესწავლის, წარდგენილი განმარტებების მოსმენისა და ანალიზის საფუძველზე მიიჩნიეს, რომ თ. ლ.-ის მხრიდან ეთიკის კოდექსის რამდენიმე ნორმა დაირღვა, რისთვისაც დისციპლინური ღონისძიების სახედ - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შეეფარდა[6]. ეთიკის კომისიის შეფასებით, განმცხადებლის ქცევა პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტის წარმოშობისა და გაღვივებისკენ იყო მიმართული[7]. ამასთან, ეს იყო არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება უნივერსიტეტის სახელის, პრესტიჟის, სიმბოლიკისა და საქმიანი რეპუტაციის მიმართ[8]. აღნიშნულის გათვალისწინებით, თ. ლ.-ის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა შეფასდა მძიმე ხასიათის დარღვევად, რომელიც უხეშად ეწინააღმდეგებოდა უნივერსიტეტის ღირებულებებსა და აკადემიური საქმიანობის პრინციპებს. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდგომ, სასწავლო სემესტრის გამოტოვების თავიდან არიდების მიზნით, თ. ლ. იძულებული

---

[2] შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)“ რექტორის 2022 წლის 6 სექტემბრის N732 ბრძანება

[3] 2022 წლის 31 ივლისს თ. ლ.-მ Facebook-ის პირად გვერდზე შემდეგი შინაარსის პოსტი გამოაქვეყნა: *„მხოლოდ ქართულ უნივერსიტეტებში ზღუდავს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სიტყვის თავისუფლებას და მიიჩნევს რომ უნივერსიტეტს აქვს პატივისა და ღირსების უფლება. იმიტომ ვართ სწორ ადგილას, იმიტომ ვართ ბედნიერები და წარმატებულები. ცხოვრებაში არაფერი გამიკეთებია, როგორც ამას ერთ-ერთი უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ამბობს და პლუს ამ ყველაფერს, გრძელი ენაც მქონია, თუმცა მაინც ვიტყვი რომ ჩემი უფლებაა, მომწონდეს ან არ მომწონდეს რაღაც და ღიად ვამბობდე ამ ყველაფერს. ამის აკრძალვა არაფერია გარდა სიბნელისა!*
შეურაცხყოფა ერთია და რეალობის აღნიშნვნა ან შენი აზრის დაფიქსირება - მეორე. თუ ამას ვერ არჩევს ადამიანი, ეგ სხვა საკითხია, ერთობ სავალალო მდგომარეობაც. და მაინც, ყველას, ვისაც გგონიათ რომ ჩემი პერსონალური დამოკიდებულებით კონკრეტული საკითხისადმი შეურაცხყოფას ვაყენებ ვინმეს და ვისაც შესაძლებლად მიგაჩნიათ უნივერსიტეტის პატივისა და ღირსების უფლების ხელყოფა (იურიდიული პირია, მას არ გააჩნია ასეთი უფლებები), გთხოვთ რომ უბრალოდ დაფიქრდეთ, განა ვინმეს საყვედურობენ იმისთვის რომ არ უყვარს აჯაფსანდალი, განა ამის თქმა სხვა ადამიანებს, ვისაც აჯაფსანდალი უყვარს, შეურაცხჰყოფთ?! არც აჯაფსანდალს ელახება პატივისა და ღირსების უფლება... მადლობა“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3FKdwCK

[4] შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)“ რექტორის 2022 წლის 2 სექტემბრის N715 ბრძანებით შექმნილი ეთიკის კომისიის სხდომის ოქმი N4

[5] განმცხადებელმა სახალხო დამცველს სოციალურ ქსელ Viber-ის ჯგუფში - „სტიპენდიენტები 2021-2022“ არსებული მიმოწერის ამსახველი ე.წ. სქრინშოთები წარმოუდგინა

[6] შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)“ რექტორის 2022 წლის 2 სექტემბრის N715 ბრძანებით შექმნილი ეთიკის კომისიის სხდომის ოქმი N4

[7] შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)“ ეთიკის კოდექსი, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი 1.16, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LH4tGg

[8] იქვე, პუნქტი 1.23

გახდა, ფორსირებულ რეჟიმში[9], მობილობის გამოყენებით, სწავლა საქართველოს უნივერსიტეტში გაეგრძელებინა.

1.2. მოპასუხის პოზიცია

საქმის წარმოების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა უნივერსიტეტის რექტორისგან[10]. წარმოდგენილ პოზიციაში, უნივერსიტეტმა უარყო დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობა. მოპასუხის განმარტებით[11], უნივერსიტეტის ეთიკის კომისიამ თ. ლ.-სთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის ორი ნორმის დარღვევის დადგენის საფუძველზე მიიღო - (1) „პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობა და/ან კონფლიქტის გაღვივება"[12]; (2) „არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება სეუ-ს სახელის, პრესტიჟის, სიმბოლიკისა და საქმიანი რეპუტაციის მიმართ, მათ შორის, ცრუ და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება სეუ-ს საქმიანობის, სეუ-ს სტუდენტებისა და/ან სეუ-ში დასაქმებული პირების (მ.შ. რექტორის მიმართ) შესახებ"[13]. თავის მხრივ, ეთიკის კოდექსის ხსენებული ნორმების დარღვევაზე მსჯელობა თ. ლ.-ის მხრიდან სოციალურ ქსელ Facebook-ში გამოქვეყნებული საჯარო პოსტის შინაარსმა გამოიწვია, სადაც იგი უნივერსიტეტს მადისკრედიტირებელი ეპითეტებით („სიბნელე") მოიხსენიებდა და განმარტავდა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სიტყვის თავისუფლებას ზღუდავდა. უნივერსიტეტის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ გამოქვეყნებულ პოსტში განმცხადებელი უნივერსიტეტის სახელს პირდაპირ არ ასახელებდა, იდენტიფიცირებადი იყო, რომ პოსტის ადრესატს შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)" რექტორი წარმოადგენდა, რამდენადაც მას თავის ბიოგრაფიაში მითითებული ჰქონდა, რომ ამ უნივერსიტეტში სწავლობდა. გარდა აღნიშნულისა, უნივერსიტეტის განმარტებით, თ. ლ. სხვა სტუდენტის მიერ გამოქვეყნებულ

---

[9] მობილობის გამოყენების ვადა სრულდებოდა 2022 წლის 7 სექტემბრის 18:00 საათზე, ხოლო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება თ. ლ.-ს 2022 წლის 6 სექტემბერს ჩაბარდა

[10] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 19 ოქტომბრის წერილი N 13-1/10471; კორესპონდენციით მოთხოვნილი იქნა შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენა: (1) რა სახის ზიანი მიადგა შპს „საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს (სეუ)" თ. ლ.-ის მიერ განხორციელებული სადავო ქმედების შედეგად; (2) რა ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად თ. ლ.-ის მიმართ პასუხისმგებლობის უკიდურესი ზომის - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გამოყენება; (3) წარსულში, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის საფუძვლით, რომელიმე სტუდენტის მიმართ გამოყენებული იქნა თუ არა დისციპლინური ღონისძიების რომელიმე სახე. დადებითი პასუხის შემთხვევაში, პერსონალური მონაცემების დაცვით, მიუთითეთ თითოეულ შემთხვევაში რა სახის დარღვევას ჰქონდა ადგილი და დისციპლინური ღონისძიების რომელი სახე იქნა გამოყენებული, მათ შორის, რომელიმე სტუდენტს შეუწყდა თუ არა სტუდენტის სტატუსი

[11] შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)" რექტორის 2022 წლის 31 ოქტომბრის კორესპონდენცია N6071

[12] შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)" ეთიკის კოდექსი, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი 1.16, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LH4tGg

[13] იქვე, პუნქტი 1.23

ერთ-ერთი საჯარო პოსტის კომენტარებში სტუდენტების გაღიზიანებასა და უნივერსიტეტის წინააღმდეგ განწყობას ცდილობდა[14]. აღნიშნულის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა მიიჩნია, რომ განმცხადებლის ქმედებები სტუდენტთა დაპირისპირებისა და უკმაყოფილების გამოწვევისკენ იყო მიმართული. უნივერსიტეტის განმარტებით, ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ლეგიტიმურობის მიუხედავად, უნივერსიტეტის რექტორმა გამოთქვა მზაობა[15], სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება სტუდენტების დამოუკიდებელ კომისიას განეხილა, რომელიც საქართველოს ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობების პრეზიდენტებისგან დაკომპლექტდებოდა. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გადასინჯვის შეთავაზებულ ფორმატს განმცხადებელი არ დათანხმდა და სტუდენტურ თვითმმართველობებს უნდობლობა გამოუცხადა.

მიყენებულ ზიანთან მიმართებით უნივერსიტეტმა განმარტა, რომ თ. ლ.-მ კრიტიკული პოსტი უნივერსიტეტისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდში გამოაქვეყნა, რამდენადაც იმ დროს აბიტურიენტები არჩევდნენ მათთვის სასურველ უნივერსიტეტებს. უნივერსიტეტის შეფასებით, მსგავს პერიოდში ყველა აბიტურიენტი განსაკუთრებული სიმძაფრით აფასებს სოციალურ თუ სხვა პლატფორმებზე განთავსებულ ინფორმაციას და მისი გავრცელების მასშტაბი უფრო დიდია. შესაბამისად, უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვან პერიოდში კრიტიკული პოსტის გამოქვეყნებით, განმცხადებელი მიზანმიმართულად ცდილობდა უნივერსიტეტისა და მისი რექტორის იმიჯი და საქმიანი რეპუტაცია მნიშვნელოვნად დაეზიანებინა.

შერჩეული დისციპლინური ღონისძიების პროპორციულობის ნაწილში მოპასუხემ განმარტა, რომ უნივერსიტეტს აქვს ეთიკის კოდექსი, რომელიც იმ ძირითად ღირებულებებსა და ქცევის აკადემიურ წესებს განამტკიცებს, რომელიც ყველა სტუდენტის მიერ სავალდებულოდ უნდა იქნეს დაცული. თავისი შინაარსით ეთიკის კოდექსი უნივერსიტეტში მშვიდი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული აკადემიური სივრცის უზრუნველყოფის მიზნით არსებობს. შესაბამისად, უნივერსიტეტს აქვს მკაცრი პოლიტიკა მისი აღსრულების პროცესში და რეაგირებს მის ყოველ დარღვევაზე პრევენციულად, სანამ მძიმე შედეგი დადგება. ეთიკის კოდექსის გათვალისწინებით, არაეთიკური ქმედებები და გადაცდომები პირობითად მსუბუქ და მძიმე ხასიათის დარღვევებად იყოფა[16]. დარღვევა, რომელიც სერიოზულ წინააღმდეგობაში

---

[14] ეთიკის კომისიის მდივნის განმარტებით, თ. ლ. ერთ-ერთი პოსტის კომენტარში, რომელიც გამოცდის ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრას ეხებოდა ცინიკურად წერდა, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლებს არ ეცალათ, რადგან დაკავებულნი იყვნენ „გრძელენიანი“ სტუდენტების სიის შედგენით და სხვა უფრო „მნიშვნელოვანი საქმეებით“. შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)“ რექტორის 2022 წლის 2 სექტემბრის N715 ბრძანებით შექმნილი ეთიკის კომისიის სხდომის ოქმი N4, გვ. 4

[15] შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)“ რექტორის 2022 წლის 7 ოქტომბრის საჯარო განცხადება, ხელმისაწვდომია: https://www.seu.edu.ge/ka/news/1836/

[16] შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)“ ეთიკის კოდექსი, მუხლი 13, პუნქტი 2, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LH4tGg

მოდის უნივერსიტეტის ღირებულებებთან, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებთან ან ჩრდილს აყენებს მის საქმიანობას, მძიმე ხასიათის დარღვევად კლასიფიცირდება. ვინაიდან, თ. ლ.-ის მხრიდან ეთიკის კოდექსის ორი ნორმა დაირღვა, ამასთან, მისი ქცევა მიმართული იყო უნივერსიტეტისა და რექტორის სახელისა და რეპუტაციის შელახვისკენ, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ გამოყენებული უნდა ყოფილიყო ყველაზე მკაცრი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - „სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა".

წარმოდგენილ კორესპონდენციაში მოპასუხემ განმარტა ისიც, რომ წარსულში თ. ლ.-ის გარდა, დისციპლინური წარმოება 5 სტუდენტის მიმართ ჩატარდა[17], საიდანაც 3 შემთხვევაში წარმოება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტით დასრულდა, ერთ შემთხვევაში უფრო ნაკლების სიმძიმის დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა სტუდენტს, ხოლო ერთის მიმართ წარმოება შეწყდა. უკიდურესი დისციპლინური პასუხისმგებლობის ხსენებული 3 შემთხვევიდან ერთი საქმე სტუდენტის მხრიდან უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ მუქარისა და დაშინების ფაქტს უკავშირდებოდა, ხოლო 2 შემთხვევაში სტუდენტებს იმავე საფუძვლით შეეფარდათ დისციპლინური პასუხისმგებლობა, რომლითაც თ. ლ.-ს. მოპასუხის შეფასებით, შესაძლოა, უნივერსიტეტის მიდგომა იყოს მკაცრი, თუმცა სამართლიანი, ობიექტური და არადისკრიმინაციული ყველა იმ სტუდენტის მიმართ, რომლებთან მიმართებითაც დისციპლინური წარმოება ჩატარდა.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი დებულებები თანასწორობის უფლების შესახებ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის[18].

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს როგორც კონსტიტუციით, ასევე საქართველოს სხვა კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებით თანასწორ სარგებლობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს

[17] მოპასუხემ მტკიცებულების სახით სახალხო დამცველს ხსენებულ საქმეებთან დაკავშირებით ეთიკის კომისიის მიერ მიღებული ოქმები წარმოუდგინა, პერსონალური მონაცემების დაცვით

[18] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის № 1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები" და „საქართველოს კონსერვატიული პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4

დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს ისე მის მიზანს[19]. აღნიშნული მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“.

ადამიანის უფლება - იყოს დაცული დისკრიმინაციის ყველა ფორმისგან, განმტკიცებულია არა ერთ საერთაშორისო სამართლებრივ აქტში, რომელთა შორის აღსანიშნავია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენცია. კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით, „ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად“.

საქართველოში თანასწორობის უფლების დაცვის თვალსაზრისით (როგორც უფლების შინაარსის დეტალიზების მასშტაბით, ასევე უფლების დაცვის საშუალებებით), არსებითია საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. აღნიშნული კანონის პირველი მუხლის თანახმად, „ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა“.

ამავე კანონის მე-2 მუხლის, მე-2 პუნქტის საფუძველზე, „პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად“.

აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც **პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით**

[19] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 2010 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე N1/1/493, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II, 1).

სარგებლობისას, **არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ**, არ არსებობს **კანონით განსაზღვრული მიზანი**, განსხვავებულ მოპყრობას **არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება** და იგი დასახული **მიზნის არათანაზომიერია**.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ **განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ**. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას **არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება**, ე. ი. არ ისახავს **კანონიერ მიზანს** და არ არსებობს **პროპორციულობის გონივრული კავშირი** გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის[20].

2.2. უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა

როგორც ზემოთ აღინიშნა, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა. შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)“ საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს, სადაც სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების მიღებაა შესაძლებელი. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სახალხო დამცველის შეფასების საგანს წარმოადგენს უნივერსიტეტის მხრიდან მოხდა თუ არა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ინსტრუმენტებით აღიარებული განათლების უფლებით[21] სარგებლობის დაცულ სფეროში ჩარევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განათლების უფლებას სოციალური უფლებების კატალოგში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა. სასამართლოს განმარტებით, განათლების მიღების კონსტიტუციური უფლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ძირითად სოციალურ უფლებას და ცივილიზებული კაცობრიობის აღიარებულ ღირებულებას[22]. განათლება, როგორც წესი, პროფესიის დაუფლების წინა საფეხურია, ორივე ერთად კი – ცხოვრებაში ინტეგრირების შემადგენელი ნაწილი[23]. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, განათლება ხელს უწყობს ინდივიდს, საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს საზოგადოებაში, დამოუკიდებლად გაუძღვეს და მოაწყოს საკუთარი ცხოვრება. მისი საშუალებით ინდივიდები თავიანთი შესაძლებლობებით და უნარებით სწავლობენ თვითგანვითარებას. განათლების უფლების სრულყოფილ რეალიზებაზეა დამოკიდებული

---

[20] Eweida and others v. United Kingdom, App. Nos. 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, § 87-88 (15/01/2013, ECtHR); Burden v. United Kingdom, App. No. 13378/05, § 60 (29/04/2008, ECtHR).

[21] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 27; ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი, მუხლი 2; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 13

[22] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 29 დეკემბრის #2/35 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს პარლამენტის 48 წევრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

[23] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, „საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, მუხლი 35, გვ. 424

ადამიანის პიროვნული თავისუფლება, იმდენად, რამდენადაც შესაბამისი განათლების გარეშე ადამიანი რთულად თუ შეძლებს საკუთარი პიროვნების თავისუფალ განვითარებას[24] .

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლი უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობასაც. თავის მხრივ, უმაღლესი განათლება მოიაზრებს პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი განათლების მიღებას, კვალიფიკაციის ამაღლებას[25], პიროვნული პოტენციალის რეალიზებას, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადებას, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას[26], სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნას, უზრუნველყოფასა და განვითარებას[27]. უმაღლესი განათლების ხსენებული მიზნების მისაღწევად, სახელმწიფო ვალდებულია უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაცია აკრძალოს, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით[28]. ნებისმიერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ვალდებულია, უზრუნველყოს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა, ღიაობა და უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე[29], მათ შორის, თანასწორი მოპყრობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა[30].

საგულისხმოა, რომ განათლების უფლებით სხვებთან თანაბარ პირობებში სარგებლობის საკითხს ეხმიანება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონიც, რომელიც ექსპლიციტურად განსაზღვრავს, რომ თანაბარი მოპყრობის პრინციპი აგრეთვე ვრცელდება სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, მათ შორის, განათლების ხელმისაწვდომობაზე[31]. გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი განათლების უფლებაზე მსჯელობისას მიუთითებს, რომ განათლება უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველასათვის. ხელმისაწვდომობის პრინციპი თავის თავში მოიაზრებს

---

[24] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე: „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსეღიანი და ლენა ბარსეღიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ნაწ. II, პარ. 16-18

[25] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ“

[26] იქვე, ქვეპუნქტი „გ“

[27] იქვე, ქვეპუნქტი „დ“

[28] იქვე, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „თ“

[29] იქვე, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „კ“

[30] იქვე, მუხლი 16, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „დ“

[31] საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მუხლი 2, პუნქტი 10, ქვეპუნქტი „ზ“ „ზ.ზ“

ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობას როგორც სამართლებრივად, ასევე ფაქტობრივად[32].

განსახილველ შემთხვევაში, სადავოდ არ არის გამხდარი ის გარემოება, რომ უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 6 სექტემბრის N732 ბრძანების საფუძველზე, თ. ლ.-ს სტუდენტის სტატუსი შეუწყდა. მათ შორის, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებასა და მობილობის ვადის დასრულებას შორის არსებული მცირე დროის გათვალისწინებით, არსებობდა რისკი, რომ განმცხადებელს პრობლემა შეჰქმნოდა განათლების მიღების უწყვეტობის მიმართულებით. შესაბამისად, სახეზეა განათლების უფლების დაცულ სფეროში ჩარევა.

2.3. განსხვავებული აზრის გამოხატვა, როგორც დისკრიმინაციისგან დაცული ნიშანი

იმის განსაზღვრისას, მოხდა თუ არა პირის დისკრიმინაცია, უნდა შეფასდეს ნაკლებ სახარბიელო მოპყრობა განპირობებული იყო თუ არა **დაცული საფუძვლით**. ანტიდისკრიმინაციულ დებულებებს თან ახლავს იმ ნიშნების ჩამონათვალი, რომელთა საფუძველზეც დაუშვებელია განსხვავებული მოპყრობა. ამ ნიშნების კლასიკური ჩამონათვალი თითქმის იდენტურია საერთაშორისო[33] და რეგიონულ სამართლებრივ აქტებში[34]. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციად ვერ იქნება მიჩნეული, თუკი სავარაუდო მსხვერპლს/მსხვერპლებს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით განსაზღვრული მახასიათებელი[35] არ აქვს.

განსახილველ შემთხვევაში სადავო არ არის ის, რომ თ. ლ.-სთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა მის მიერ სოციალურ ქსელ Facebook-ში უნივერსიტეტთან დაკავშირებით გამოქვეყნებულმა კრიტიკულმა პოსტმა განაპირობა. შესაბამისად, დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშანს განსხვავებული მოსაზრების გამოხატვა წარმოადგენს.

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი

---

[32] UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 13: The Right to Education (Art. 13 of the Covenant), E/C.12/1999/10, 8 December 1999, § 6(b)

[33] ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის, მუხლი 14; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 26

[34] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11, პუნქტი 1

[35] აღნიშნული მუხლის თანახმად, „აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად“

წინაპირობაა[36]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას და შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი თითოეული წევრის ჩართულობას[37].

საქართველოს კონსტიტუციით დაცულია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება და რეგლამენტირებულია პირის უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია[38]. მსგავსი უფლება აღიარებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციითა[39] და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით[40]. უფლებით დაცულია არა მხოლოდ ის „ინფორმაცია“ და „იდეები“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება, არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ისეთებიც, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობის და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება[41].

გამოხატვის თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში ექცევა აზრის, შეხედულებებისა და ინფორმაციის გავრცელება და მიღება ვერბალური, წერილობითი თუ სხვაგვარი არავერბალური ექსპრესიების მეშვეობით, მათ შორის, საზოგადოებრივ მოვლენებზე კომენტირების, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ან მსგავს საკითხებზე დისკუსიის გზით[42]. გამოხატვის თავისუფლება, მათ შორის, მოიცავს იმ საშუალებებსაც, რომლებიც აზრის, ინფორმაციისა და შეხედულებების გამოთქმის, გავრცელებისა და მიღებისთვის არის აუცილებელი[43]. მსგავს საშუალებებს შორისაა

---

[36] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *I.A. v. Turkey,* პარ.23

[37] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ.26.

[38] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 1 და პუნქტი 2

[39] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 10

[40] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 19

[41] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Handyside v. the United Kingdom, პარ. 49

[42] ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 11. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3cxa2Sr ; იხ. ასევე, Dominika Bychawska-Siniarska, Protecting the Right to Freedom of Expression under the European Convention on Human Rights, A handbook for legal practitioners, Council of Europe, July 2017, p. 17, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2XOec35

[43] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება II.პარ.56

ინტერნეტზე დაფუძნებული გამოხატვის მეთოდები[44]. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი ინტერნეტის მნიშვნელობას გამოხატვის თავისუფლების განხორციელების თვალსაზრისით, კერძოდ, მის განსაკუთრებულ როლს ახალ ამბებზე საზოგადოების წვდომის ზრდისა და ზოგადად, ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობის მიმართულებით[45].

გასათვალისწინებელია, რომ გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და იგი, შესაძლოა, შეიზღუდოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში[46]. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სიტყვისა და გამოხატვის უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს[47]. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია არსებობს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა შეურაცხყოფს მორალს ან, განსაკუთრებით, რელიგიას[48], თუმცა სახელმწიფოს უფლებამოსილება საგრძნობლად მცირდება, როდესაც გამოხატვა საჯარო ინტერესს მიკუთვნებულ საკითხს შეეხება[49]. შეზღუდვის „აუცილებლობის“ დასადასტურებლად, უნდა დადგინდეს, რამდენად წარმოადგენს უფლების მზღუდავი ღონისძიება **ლეგიტიმური მიზნის** მიღწევის **პროპორციულ საშუალებას** და რამდენად აკმაყოფილებს მისი გამოყენების დასაბუთება

---

[44] იქვე. იხ. ასევე, ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 12

[45] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Ahmet Yildirim v. Turkey, პარ. 48

[46] საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“. უფლების შეზღუდვის მსგავსი წინაპირობებს ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი

[47] საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მუხლი 8, პუნქტი 1

[48] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Murphy v. Ireland, პარ. 67-68; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის No1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.7

[49] დამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Baka v. Hungary პარ. 159; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Mouvement Raëlien Suisse v. Switzerland, პარ. 61; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Ceylan v. Turkey, პარ. 34

რელევანტურობისა და საფუძვლიანობის მოთხოვნებს[50]. ასეთი მოთხოვნის შესრულება კი ფასდება იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, თუ რამდენად გაითვალისწინა გადაწყვეტილების მიღებისას გადაწყვეტილების მიმღებმა გამოხატვის თავისუფლების პრინციპები და საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება[51].

ხაზგასასმელია, რომ მოვლენის/სიტუაციის შესახებ დაფიქსირებული მოსაზრებები ან პირადი შეფასებები წარმოადგენს პიროვნების გარკვეულ ხედვას და ვერ იქნება შეფასებული, როგორც ტყუილი ან სიმართლე[52]. ხოლო, როდესაც ხდება კონკრეტული ფაქტის ხაზგასმა - ის შეიძლება შეფასდეს, როგორც სიცრუე ან ჭეშმარიტება. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებით დაცულია არა მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომლის დადასტურებაც შეიძლება, არამედ ასევე ის მოსაზრება, კრიტიკა თუ სპეკულაცია, რომელიც შეიძლება „ჭეშმარიტების დადგენის“ საშუალებას არ იძლეოდეს[53].

გამოხატვის თავისუფლებას, როგორც ადამიანის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელ წინაპირობას, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონიც იცავს. სტუდენტი აღჭურვილია უფლებამოსილებით, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სთავაზობენ[54]. თავის მხრივ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეკრძალებათ საკუთარი უფლებამოსილებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება ცენზურის დაწესების საფრთხე შექმნას ან გამოხატვის თავისუფლება შეზღუდოს[55]. სხვა პირის სიტყვისა და გამოხატვის პატივისცემას უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი ეთიკური ქცევის ძირითად პრინციპად მოიაზრებს[56]. ამასთან, გამოხატვის თავისუფლების დაცულობის გარანტიას უნივერსიტეტსა და თ. ლ.-ს შორის დადებული ხელშეკრულებაც ითვალისწინებს[57].

განსახილველ შემთხვევაში, თ. ლ.-ის მიერ სოციალურ ქსელ Facebook-ში გამოქვეყნებული პოსტი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლით უნივერსიტეტის კრიტიკას

---

[50] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Sekmadienis ltd. v. Lithuania, პარ. 71; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Matúz v. Hungary პარ. 31

[51] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე VgT Verein Gegen Tierfabriken v. Switzerland, პარ. 68

[52] საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მუხლი 1, პუნქტი „ბ“

[53] Council of Europe, Protecting the Right to Freedom of Expression under the European Convention on Human Rights – A Handbook for Legal Professionals, 2017, გვ. 78, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KaODTc

[54] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 43, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ზ“

[55] იქვე, პუნქტი 5

[56] შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)“ რექტორის 2020 წლის 5 ოქტომბრის N587 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ეთიკის კოდექსი, მუხლი 2, პუნქტი 3, ქვეპუნქტი 3.4

[57] 2019 წლის 9 სექტემბრის აკადემიური კონტრაქტი N00527, მუხლი 2, პუნქტი 2.1

მიემართებოდა. იგი წერდა - *„მხოლოდ ქართულ უნივერსიტეტებში ზღუდავს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სიტყვის თავისუფლებას და მიიჩნევს რომ უნივერსიტეტს აქვს პატივისა და ღირსების უფლება. იმიტომ ვართ სწორ ადგილას, იმიტომ ვართ ბედნიერები და წარმატებულები. ცხოვრებაში არაფერი გამიკეთებია, როგორც ამას ერთ-ერთი უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ამბობს და პლუს ამ ყველაფერს, გრძელი ენაც მქონია, თუმცა მაინც ვიტყვი რომ ჩემი უფლებაა, მომწონდეს ან არ მომწონდეს რაღაც და ღიად ვამბობდე ამ ყველაფერს. ამის აკრძალვა არაფერია გარდა სიბნელისა! შეურაცხყოფა ერთია და რეალობის აღნიშვნა ან შენი აზრის დაფიქსირება - მეორე. თუ ამას ვერ არჩევს ადამიანი, ეგ სხვა საკითხია, ერთობ სავალალო მდგომარეობაც. და მაინც, ყველას, ვისაც გგონიათ რომ ჩემი პერსონალური დამოკიდებულებით კონკრეტული საკითხისადმი შეურაცხყოფას ვაყენებ ვინმეს და ვისაც შესაძლებლად მიგაჩნიათ უნივერსიტეტის პატივისა და ღირსების უფლების ხელყოფა (იურიდიული პირია, მას არ გააჩნია ასეთი უფლებები), გთხოვთ რომ უბრალოდ დაფიქრდეთ, განა ვინმეს საყვედურობენ იმისთვის რომ არ უყვარს აჯაფსანდალი, განა ამის თქმა სხვა ადამიანებს, ვისაც აჯაფსანდალი უყვარს, შეურაცხყოფთ?! არც აჯაფსანდალს ელახება პატივისა და ღირსების უფლება... მადლობა“.* აღნიშნული პოსტით განმცხადებელმა დახურულ ჯგუფში რექტორთან არსებული მიმოწერის შეფასება გააკეთა, რაც ეთიკის კომისიამ უნივერსიტეტისა და მისი რექტორის მიმართ არაკეთილსინდისიერ და საქმიანი რეპუტაციის შემლახავ დამოკიდებულებად მიიჩნია. გადაწყვეტილების მიზნებისთვის, სახალხო დამცველი ვერ შეაფასებს განმცხადებლის Facebook პოსტში მითითებული ინფორმაციის ლეგიტიმურობას, ამასთან, ვინაიდან სადავო გარემოებას არ წარმოადგენს ის, რომ განმცხადებლისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხსენებული პოსტის სოციალურ სივრცეში გამოქვეყნებამ და მისმა შინაარსმა განაპირობა, წინამდებარე გადაწყვეტილების 2.5 თავში დეტალურად გაანალიზდება რამდენად მართლზომიერად მოხდა განმცხადებლის განათლების უფლებაში ჩარევა.

2.4. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი დიფერენცირებული მოპყრობა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ[58]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს, მასზე თანაბარი წვდომის (ხელმისაწვდომობის) გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან[59].

განსახილველ შემთხვევაში, თ. ლ., როგორც უნივერსიტეტთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი სტუდენტი, განათლების მიღების მიზნებისთვის, წარმოადგენდა ყველა იმ სხვა სტუდენტის არსებითად თანასწორ სუბიექტს, ვისაც ხელშეკრულება ასევე გაფორმებული ჰქონდა უნივერსიტეტთან და მის საგანმანათლებლო პროგრამაზე

[58] საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მუხლი 2, პუნქტი 2

[59] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N 1/1/539, II, 2

ირიცხებოდა. მოცემულ შემთხვევაში, თ. ლ.-ს სხვა სტუდენტებისაგან უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან დაკავშირებით თავისი პოზიციის საჯაროდ გამოხატვა განასხვავებს, რაც მისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი გახდა. მართალია, თანაბარი მოპყრობის საილუსტრაციოდ, უნივერსიტეტი, სხვადასხვა დროს იდენტური საფუძვლით, 3 სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტაზე მიუთითებს, რითაც ცდილობს, წარმოაჩინოს, რომ მსგავსი გადაცდომის არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტის მიდგომა თანასწორია, თუმცა, ვინაიდან, სახალხო დამცველისთვის უცნობია ხსენებული 3 შემთხვევის საქმის მასალები, ამასთან, აღნიშნული საქმეები არ წარმოადგენს სახალხო დამცველის შესწავლის საგანს, რთულია, შეფასდეს ხსენებულ შემთხვევაში, გადაწყვეტილებების მიღებისას, უნივერსიტეტის მხრიდან დაცული იყო თუ არა კეთილსინდისიერებისა[60] და მართლზომიერების[61] პრინციპები. ამასთან, დისკრიმინაციის შემთხვევების ინდივიდუალიზებული მახასიათებლის გათვალისწინებით, სხვა შემთხვევებში დისციპლინური ღონისძიების იდენტური ზომის გამოყენება a prior ვერ იქნება მიჩნეული დისკრიმინაციული მოპყრობის გამომრიცხველ გარემოებად.

2.5. ლეგიტიმური მიზანი და თანაბარი მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, აკრძალულია კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ მოპყრობა გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე[62].

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობის თვალსაზრისით, პირთა შორის ყოველგვარი განსხვავება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად[63]. ლეგიტიმური მიზნის არ არსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია[64]. დისკრიმინაციას წარმოადგენს არა მარტო ისეთი შემთხვევა, როდესაც მოქმედება პირდაპირ ისახავდა მიზნად პირის ან პირთა ჯგუფის

---

[60] საქართველოს კანონი, სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8

[61] საქართველოს კანონი, სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115

[62] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, ნაწ. II, პარ. 1

[63] საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 2, პუნქტი 3

[64] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე: „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი, ირმა ჯანაშვილი, ასევე საქართველოს მოქალაქეები - გიორგი წაქაძე და ვახტანგ ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 15

დისკრიმინაციას, არამედ - ისეთიც, რომელსაც შედეგად მოჰყვა დე ფაქტო დისკრიმინაცია[65].

ამდენად, არასახარბიელო მოპყრობის გამართლებად და შესაბამისად, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება, თუ ამგვარი მოპყრობა **ეფუძნება არსებითად ფაქტობრივი გარემოებების ობიექტურ შეფასებას**; ითვალისწინებს **საჯარო ინტერესს**; **ამყარებს სამართლიან ბალანსს** საზოგადოების საერთო ინტერესსა და ინდივიდის უფლებებს შორის; **ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს** და არსებობს **გონივრული, პროპორციული ურთიერთმიმართება** განსხვავებულ მოპყრობასა და დასახულ ლეგიტიმურ მიზანს შორის.

დისკრიმინაციის დავებთან მიმართებით კანონმდებლობა ექსპლიციტურად განსაზღვრას, რომ მტკიცების ტვირთი მოპასუხე მხარეს ეკისრება[66]. მოპასუხე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანა გულისხმობს, რომ მან სახალხო დამცველს უნდა დაუსახელოს ისეთი **ლეგიტიმური მიზანი**, რომელიც წარმოადგენს განსხვავებული მოპყრობის ობიექტურ და გონივრულ გამართლებას. ევროსასამართლოს განმარტებით, **დისკრიმინაციის საქმეებში მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად მყარი, ნათელი და თანმხვედრი დასკვნებიდან ან ფაქტების ცალსახა პრეზუმფციიდან**[67]. ამასთან, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი შეზღუდვის ინიციატორს ეკისრება. ხოლო, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ[68]. თავის მხრივ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ეხმიანება დისციპლინური წარმოების საკითხს და გამარტავს, რომ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას, მტკიცების ტვირთი საგანმანათლებლო დაწესებულებას აწევს. ამასთან, დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს[69].

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, სახალხო დამცველს წარმოეშვა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, შესაბამისად, მოპასუხე მხარეზე გადავიდა იმის მტკიცების ტვირთი, რომ

---

[65] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II, 25

[66] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა

[67] იხ. მაგალითად: Anguelova v. Bulgaria, განაცხადი no. 38361/97, 13 ივნისი 2002; Garibashvili v. Georgia განაცხადი no. 118030/03, 29 ივლისი 2008

[68] საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მუხლი 7, პუნქტი 5

[69] საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 43, პუნქტი 10

დისკრიმინაცია არ განხორციელებულა და დაეკისრა ვალდებულება, რომ წარმოედგინა ის ლეგიტიმური მიზანი, რომელიც იქნებოდა განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება. როგორც უკვე აღინიშნა, განსახილველ შემთხვევაში სადავო არ არის ის, რომ განმცხადებლისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა მის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტის შინაარსმა განაპირობა. თავის მხრივ, როგორც მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით, ასევე ეთიკის კომისიის სხდომის ოქმში მითითებული გარემოებებით დგინდება, რომ თ. ლ.-ის განათლების უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ მიზანს უნივერსიტეტისა და რექტორის იმიჯისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა წარმოადგენდა. შესაბამისად, დისკრიმინაციული მოპყრობის გამოკვეთის მიმართულებით, სახალხო დამცველის შეფასების საგანს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, განმცხადებლის მიერ გამოქვეყნებული პოსტის შინაარსი სცდებოდა თუ არა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და რეალურად არსებობდა თუ არა დისციპლინური ღონისძიების გამოყენების საფუძველი. სახალხო დამცველის მხრიდან შეფასდება ისიც, დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენებული ზომა აკმაყოფილებდა თუ არა პროპორციულობის ტესტს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს და მას გარდაუვლად, რეალურად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების და ინტერესების უზრუნველყოფა[70].

მოცემულ შემთხვევაში, უნივერსიტეტის ეთიკის კომისიამ თ. ლ.-სთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის ორი ნორმის დარღვევის დადგენის საფუძველზე მიიღო - (1) „პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობა და/ან კონფლიქტის გაღვივება“[71]; (2) „არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება სეუ-ს სახელის, პრესტიჟის, სიმბოლიკისა და საქმიანი რეპუტაციის მიმართ, მათ შორის, ცრუ და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება სეუ-ს საქმიანობის, სეუ-ს სტუდენტებისა და/ან სეუ-ში დასაქმებული პირების (მ.შ. რექტორის მიმართ) შესახებ“[72]. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, სტუდენტის ეთიკის კოდექსი შეიმუშაოს, რომელიც შესაძლებელია აწესებდეს შეზღუდვას სტუდენტის ქცევაზე, თუ ეს დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვასთან[73]. ამასთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, დეტალურად განსაზღვროს ქცევის წესი, რომელიც დისციპლინურ პასუხისმგებლობას იწვევს[74].

---

[70] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პარ. 23

[71]შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)“ ეთიკის კოდექსი, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი 1.16, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LH4tGg

[72] იქვე ქვეპუნქტი 1.23

[73] საქართველოს კანონი, „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 43, პუნქტი 7

[74] იქვე

პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობად ან/და კონფლიქტის გაღვივებად ეთიკის კომისიამ გამოცდის ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრას შესახებ გამოქვეყნებულ პოსტზე თ. ლ.-ის მიერ გაკეთებული კომენტარი მიიჩნია, სადაც იგი, ცინიკურად წერდა, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლებს არ ეცალათ, რადგან დაკავებულნი იყვნენ „გრძელენიანი“ სტუდენტების სიის შედგენით და სხვა უფრო „მნიშვნელოვანი საქმეებით“. იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი საგანმანათლებლო დაწესებულებას ეკისრება, აღნიშნული კომენტარისთვის კონფლიქტის წარმოშობის ან კონფლიქტის გაღვივების კვალიფიკაციის მინიჭება, რთულია მართლზომიერ და პროპორციულ ქმედებად შეფასდეს. ამასთან, აღნიშნული ქმნის საშიშ პრეცედენტს, რომ მომავალში, სტუდენტთა მხრიდან ნებისმიერი სახის უკმაყოფილების გამოხატვა ან ცინიკური დამოკიდებულების გამომჟღავნება, უნივერსიტეტის მხრიდან, შესაძლოა, უპირობოდ შეფასდეს კონფლიქტის წარმოშობისა და გაღვივების მცდელობად და მათ მიმართ დისციპლინური საქმის წარმოების დაწყების საფუძველი გახდეს.

შემდეგი უნდა შეფასდეს თ. ლ.-ის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაცია იყო თუ არა უნივერსიტეტისა და მისი რექტორის სახელისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფისკენ მიმართული და შეიცავდა თუ არა ცრუ და გადაუმოწმებელ ფაქტებს. აღნიშნული მიმართულებით, უპირველესად, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს პოსტის შინაარსი ექცევა აზრის კატეგორიაში, თუ წარმოადგენს ,,არსებითაც მცდარ ფაქტს“. ,,აზრი“ ეს არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტებს[75]. აზრის მართებულობა ან მცდარობა მთლიანად პირად წარმოდგენებზეა დამოკიდებული. ხოლო, რაც შეეხება ,,ფაქტს“, მის ქვეშ მოიაზრება ნამდვილად, რეალურად მომხდარი ან არსებული გარემოებები, რომელთა გადამოწმებაც ობიექტურად შესაძლებელია[76]. საგულისხმოა, რომ გამონათქვამები საჯარო ინტერესის საკითხზე, შესაძლებელია, უფრო შეფასებით მსჯელობას წარმოადგენდეს, ვიდრე ფაქტების შესახებ განცხადებას[77].

აზრისა და ფაქტის ერთმანეთისგან გამიჯვნა მნიშვნელოვანია, რამდენადაც აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით[78], რაც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო გათავისუფლების საფუძველია. შესაბამისად, სხვა უფლებებისაგან განსხვავებით, აზრის დაფიქსირება არ შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დასაცავად[79]. ხშირად, აზრისა

[75] საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მუხლი 1, პუნქტი „ბ“

[76] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 6 აპრილის Nიას-1366-2019 განჩინება

[77] იქვე

[78] საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მუხლი 4, პუნქტი 1

[79] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 7 მაისის Nიას-1857-2018 განჩინება

და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია. ამიტომ, სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის, აუცილებელია, შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი[80].

უშუალოდ პოსტის შინაარსის შეფასებამდე, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს რამდენად არსებობდა თ. ლ.-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიმართ საჯარო ინტერესი. როგორც წინამდებარე გადაწყვეტილების 2.3 თავში უკვე აღინიშნა, იმგვარ განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც საჯარო ინტერესში ექცევა, გამოხატვის თავისუფლებით დაცულობის ხარისხი მაღალია[81]. საჯარო ინტერესი უკავშირდება ისეთ საკითხებს, რომლებსაც იმგვარი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე, რომ ლეგიტიმურად აღძრავენ ინტერესს, იპყრობენ ყურადღებას ან/და ზემოქმედებენ მოსახლეობის ცხოვრებასა და კეთილდღეობაზე[82]. გარდა ამისა, მსგავს საკითხებს განეკუთვნება ისეთი თემები, რაც სერიოზულ წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას წარმოშობს, ეხება მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებს ან ისეთ პრობლემას, რომლის შესახებაც საზოგადოება ინფორმირებულობას ისურვებდა[83]. განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ საჯაროდ გავრცელებულ პოსტში ასახული ინფორმაცია შეეხებოდა იმას, თუ როგორია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის დამოკიდებულება იმ სტუდენტის მიმართ, რომელიც თავისუფლად გამოხატავს თავის პოზიციას უნივერსიტეტში არსებულ გარემოსთან დაკავშირებით და რამდენად იცავს უნივერსიტეტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსითა და სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულებით აღიარებულ სიტყვისა და გამოხატვის უფლებებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ქმედებების, როგორც ახალგაზრდების ნიჭისა და პროფესიული უნარების განმავითარებელი სივრცის მიმართ საზოგადოების ყველა წევრის, განსაკუთრებით კი პოტენციური სტუდენტებისა და მათი მშობლების ინტერესი მაღალია. გასათვალისწინებელია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შეთავაზებული სასწავლო პროგრამების მოსარგებლეთა დიდი რაოდენობაც. ამასთან, ამა თუ იმ უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტი არის საზოგადოების ინტერესის დაკმაყოფილების ის რესურსი, რომელსაც შეუძლია დღის სინათლეზე გამოიტანოს უნივერსიტეტის კედლებს შიგნით არსებული სიტუაცია და აბიტურიენტებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მისცეს. თავის მხრივ, უნივერსიტეტში არსებულ მდგომარეობაზე დისკუსიის გახსნა განათლებისა და მართვის ხარისხის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს, რაც შედეგობრივად ხარისხიანი განათლების მიზნებს ემსახურება. ამდენად, განათლების უფლების მნიშვნელობისა და სოციალური

[80] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 6 აპრილის Nიას-1366-2019 განჩინება

[81] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Baka v.Hungary* პარ. 159

[82] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland*, პარ. 171

[83] იქვე

როლის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის, აკადემიური პერსონალის, დაწესებულებაში არსებული გარემოსა და სწავლების ხარისხთან დაკავშირებული ინფორმაციის მიმართ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი არსებობს.

რაც შეეხება პოსტის შინაარსს, სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტში თ. ლ. უკმაყოფილებას გამოხატავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხზე და აღნიშნულს უარყოფითი შედეგის მომტანად აფასებს. იგი ასევე განმარტავს, რომ ერთ-ერთი უნივერსიტეტის ხელმძღვანელი მას გრძელი ენის მქონედ მიიჩნევს და ცხოვრებისეულ მიღწევებს უწუნებს, რასაც იგი არასწორად და გამოხატვის თავისუფლების ჩახშობად მიიჩნევს. იგი, ასევე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ქმედებას აფასებს როგორც „სიბნელედ“ და „სავალალო მდგომარეობად“. როგორც სადავო პოსტის ტექსტიდან ირკვევა, განმცხადებლის ძირითად წუხილს და პოსტის გამოქვეყნების მიზანს რექტორის ქცევისადმი მისი პირადი დამოკიდებულების დაფიქსირება წარმოადგენს. ამასთან, პოსტის შინაარსის ძირითადი ნაწილი შეფასებით მსჯელობას ეთმობა და პირად წარმოდგენებსა და ხედვებს აღწერს. „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს[84]. თავის მხრივ, უფლებების შეზღუდვისას ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ამ უფლებების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ[85], ხოლო აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას, ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ[86]. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებით, სტატუსის შინაარსი შეფასებით მსჯელობას წარმოადგენს და ფაქტად კვალიფიკაციის შესაძლებლობას არ ქმნის, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ იგი უნდა შეფასდეს როგორც აზრი და მასზე აბსოლუტური პრივილეგიით დაცვის გარანტიები გავრცელდეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქმეში არსებული მასალებისა და პოზიციის ანალიზის შედეგად, არ იკვეთება, რომ თ. ლ.-ს სადავო პოსტის გამოქვეყნებისას, პერსონალური შუღლი ან რაიმე სახის სხვა ქვენაგრძნობა ამოძრავებდა, რაც მის კეთილსინდისიერებას ეჭვქვეშ დააყენებდა. აგრეთვე, არ დგინდება, რომ პოსტი ემსახურებოდა უნივერსიტეტის რექტორისადმი გაუმართლებელ პირად თავდასხმას.

რაც შეეხება სადავო პოსტის გავრცელების შედეგად, უნივერსიტეტისა და რექტორისთვის მიყენებულ ზიანს, მოპასუხის მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში აღნიშნულია, რომ სადავო ინფორმაცია თ. ლ.-მ უნივერსიტეტისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდში გამოაქვეყნა, რამდენადაც იმ დროს აბიტურიენტები არჩევდნენ მათთვის სასურველ

[84] საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მუხლი 7, პუნქტი 1

[85] საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მუხლი 7, პუნქტი 2

[86] საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მუხლი 7, პუნქტი 5

უნივერსიტეტებს. უნივერსიტეტის შეფასებით, მსგავს პერიოდში ყველა აბიტურიენტი განსაკუთრებული სიმძაფრით აფასებს სოციალურ თუ სხვა პლატფორმებზე განთავსებულ ინფორმაციას და მისი გავრცელების მასშტაბი უფრო დიდია. შესაბამისად, უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვან პერიოდში კრიტიკული პოსტის გამოქვეყნებით, განმცხადებელი მიზანმიმართულად ცდილობდა უნივერსიტეტისა და მისი რექტორის იმიჯი და საქმიანი რეპუტაცია მნიშვნელოვნად დაეზიანებინა. ზიანის შეფასების კონტექსტში, უპირველესად, გასათვალისწინებელია ის, რომ მოპასუხე მხარე სახალხო დამცველისთვის წარმოდგენილ პოზიციაში, მხოლოდ ჰიპოთეტურ ზიანზე მიუთითებს და სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენის გზით ვერ ადასტურებს, თუ რა სახისა და მასშტაბის რეპუტაციული ზიანი მიადგა რეალურად უნივერსიტეტს. რეპუტაციული ზიანი, შესაძლოა, გამოხატულიყო უნივერსიტეტის რეიტინგის კლებაში, აბიტურიენტთა ნაკადის შემცირებაში, სოციალურ ქსელში უარყოფით გამოხმაურებაში და ა.შ, რაც საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის[87]. რეპუტაციული ზიანის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე მითითებას არ ვხვდებით არც დისციპლინური საქმის განხილვის ფარგლებში ეთიკის კომისიის მიერ შედგენილ სხდომის ოქმში. საგულისხმოა ისიც, რომ მოპასუხე მხარე ვერც იმას ადასტურებს, თუ რა გავრცელების მასშტაბი ჰქონდა განმცხადებლის პოსტს. თ. ლ.-მ აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ სოციალური ქსელის მის პირად გვერდზე განათავსა, მას აღნიშნული ინფორმაცია რომელიმე დახურულ თუ ღია ტიპის ჯგუფში არ გაუზიარებია, რასაც, შესაძლოა, ინფორმაციის გავრცელებისა და აბიტურიენტების წვდომის მასშტაბები გაეზარდა. გამოქვეყნებული პოსტის გაზიარებისა და მოწონების მაჩვენებლის გათვალისწინებით[88], შეიძლება ითქვას, რომ მისი აუდიტორია, რეალურად, ძალიან მცირე იყო. ვინაიდან დისკრიმინაციის დავებში დისკრიმინაციის გამომრიცხველი გარემოებების არსებობის მტკიცების ტვირთი მოპასუხე მხარეს ეკისრება, არსებულ ვითარებაში, მტკიცებულებების არ არსებობის პირობებში, სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს, რომ უნივერსიტეტს რეპუტაციული ზიანი მართლაც მიადგა.

ბოლო საკითხი, რაც წინამდებარე დავის ფარგლებში უნდა შეფასდეს არის ის, თუ რამდენად პროპორციული იყო დისციპლინური ღონისძიების უკიდურესი ფორმის - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გამოყენება. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის თანახმად, სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით, სამართლიანი პროცედურის გზით[89]. შერჩეული დისციპლინური

[87] შენიშვნა: უარყოფით თავდასხმებზე უნივერსიტეტის მიერ გაკეთებული განმარტებები იმ პერიოდს ასახავს, როდესაც განმცხადებელს სტუდენტის სტატუსი უკვე შეწყვეტილი ჰქონდა, შესაბამისად, აღნიშნული არ იქნება შეფასებული მოცემული საქმის მიზნებისთვის

[88] შენიშვნა: 2022 წლის 31 ივლისს თ. ლ.-ის მიერ სოციალურ ქსელ Facebook-ში გამოქვეყნებულ პოსტს 24 მოწონება და 1 გაზიარება აქვს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3FKdwCK [ბოლოს ნანახია 27.03.2023]

[89] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 43, პუნქტი 7

ღონისძიების პროპორციულობის ნაწილში მოპასუხემ განმარტა, რომ უნივერსიტეტს აქვს მკაცრი პოლიტიკა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევებზე. განსაკუთრებულად მკაცრია მიდგომა ისეთი ტიპის დარღვევაზე, რომლებიც სერიოზულ წინააღმდეგობაში მოდიან უნივერსიტეტის ღირებულებებთან, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებთან ან ჩრდილს აყენებენ უნივერსიტეტის საქმიანობას. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან თ. ლ.-ის მხრიდან ეთიკის კოდექსის ორი ნორმის დარღვევა დადგინდა, ამასთან, მისი ქცევა უნივერსიტეტისა და რექტორის სახელისა და რეპუტაციის შელახვისკენ იყო მიმართული, ეთიკის კომისიამ ჩათვალა, რომ ყველაზე მკაცრი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა უნდა გამოყენებულიყო. მართალია, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი ეთიკის ნორმების დარღვევისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას ითვალისწინებს, თუმცა, მნიშვნელოვანია, დისციპლინური ღონისძიების ზომის შერჩევა პროპორციულობის პრინციპის დაცვით მოხდეს. პროპორციულობა დაცულია, როდესაც გამოყენებული საშუალებით შესაძლებელი ხდება გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის სამართლიანი ბალანსის დამყარება. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელს ყველაზე მკაცრი დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა მხოლოდ იმის გამო, რომ მან საჯაროდ გამოხატა მისი პოზიცია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე. ზემოთ განვითარებული მსჯელობის საფუძველზე, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიმართა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა, ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია თავისი შინაარსით აზრის კატეგორიაში ექცევა, რაც მისი დაცვის მიმართ მაღალ სტანდარტს ითვალისწინებს, მათ შორის, მოპასუხემ ვერ დაასაბუთა, თუ რაში გამოიხატა უნივერსიტეტისა და რექტორის იმიჯისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა და რა გარემოებების გათვალისწინებით გადაწონა მიყენებულმა ზიანმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ის საჯარო ინტერესი, რაც სადავო ინფორმაციის გავრცელების მიმართ არსებობდა, განმცხადებელთან მიმართებით გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომა ვერ ჩაითვლება აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში. შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის მიერ ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის გამოყენებული იყო არაპროპორციულად მძიმე ზომა, რაც წარმოადგენდა თ. ლ.-ის უფლებაში ინტენსიურ ჩარევას, რომელსაც არ ჰქონდა ობიექტური და გონივრული გამართლება. პროპორციულობის პრინციპის დარღვევა დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, სადაც მოსარჩელეები მიუთითებდნენ, რომ მათ განათლებაზე წვდომა მხოლოდ იმის გამო შეეზღუდათ, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ქურთული ენის საგნის სწავლების მოთხოვნით მიმართეს. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ, მართალია, საგანმანათლებლო დაწესებულებებს გააჩნიათ უფლებამოსილება წესრიგის დაცვის მოტივით სტუდენტების მიმართ დისციპლინური ღონისძიების სახეები გამოიყენონ, რომელთა შორის, შესაძლოა, უნივერსიტეტიდან გარიცხვაც იყოს, თუმცა, მათი გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს

გამოხატვის თავისუფლების უფლების არსს და კონფლიქტში არ უნდა იყოს კონვენციის ან მის ოქმებში დადგენილ სხვა უფლებებთან[90].

3. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განსახილველ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების შეფასების შედეგად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თ. ლ.-სთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)“ მხრიდან, განსხვავებულო მოსაზრების გამოხატვის ნიშნით, დისკრიმინაციული მოპყრობა დაედო საფუძვლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)“ რექტორს მიმართავს რეკომენდაციით:

- მომავალში თავი შეიკავოს სტუდენტთა მიმართ განსხვავებულო მოსაზრების ანდა სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობისგან და საქმიანობა თანასწორობის პრინციპის დაცვით წარმართოს.

გთხოვთ, წინამდებარე რეკომენდაციის განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

[90] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე İrfan Temel and others v.Turkey, პარს.: 45